

ଡ. ଅଞ୍ଜନୀ

T. ANJANI

ମେଘ ମହିନାରେ

Nº 2

“MA TRIBUNE”

N. 2

୦୫୩୦୧୯୬୩

ପାରିସ୍

AOUT 1963

PARIS



მოსკოვის ხელშეკრულება

რამ გამოიწვია ეს ხელშეკრულება? რა არის მიზეზი მათი — და განსაკუთრებით რუსეთის „მშვიდობიანობისა“?

ბევრი სახელმწიფო, ხალხი, რომელნიც ბინადრობენ იმ ტერიტორიის ახლოს, სადაც ხდება ატომიური ყუმბარების საცდელი აფეთქება, საწინააღმდეგო პროცესტის აცხადებენ, ვინაიდან იმ მიღმოებში პაერი იწამლება: როგორც ვიცით, ასეთი ექსპერიმენტებით რადიო-აქტივობა ცრულდება პაერში და მიწის ზურგზე, რაც არის ზედმიწევნით მავნებელი, როგორც ადამიანისათვის, ისე პირუტყვისა და მცენარეთათვის; იწამლება აგრეთვე წყალიც, მდინარეები. რა გასაკვირველია, თუ ეს გამოიწვევს უკამაყოფილებას ყველა ხალხში. ორი მხარისათვის ეს გარემოება დამაფიქტებელია; ის აღელვებს მცხოვრებლებს, რომელნიც მოითხოვენ შესწყდეს, ბოლო მოელოს ასეთ სახითათო ექსპერიმენტს.

მიზეზი განსაკუთრებით რუსეთის „მშვიდობიანობისა“? რაშია საქმე, ძალმომრეობის მოციქული უმანკო ბატყანის როლში რომ გამოდის?

რუსეთს და მის ხრუშჩევებს თავისი ხალხისა და აგრეთვე დაპყრობილ ერთა ზურგზე ვამაგრება სურს და საომარი მასალის დამზადება ან შეძენა, დიდი ჯარის შენახვა ვერ შესძლო, უჭირს მას; იმპერიალისტურმა რუსეთმა ვერ მოახერხა მისი ზალხის და დამონებული ერების დაკმაყოფილება, მათთვის საკვები მასალის დამუშავება და შეძენა.

45 წლის თარეშისა და კოლონიალური ბატონობის შემდეგ ეკონომიური მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესების

გზის ადგია, აჩამედ ის უარესდება დღითი დღე და უკვე რამოდენიმე ხანია სიმშილსაც კი განიცდიან; უკვე ვეღარ მალავენ: აკლიათ პური (მეფის დროს ქვეყანა ითვლებოდა ეკროპის ბეღლად!), ხორცი, რძე და სხვა სანოვაგე; ხრუშჩევი კი უბრძანებს ხალხს: „ნუ სჭამთ ამდენ პურს“.

გაჭირება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. რა ქმნას ხრუშჩევმა; იგი იძულებულია ცოტა დათმოს და მტერს, რომელსაც ემუქრება: მალე დაგმარხავო, სთხოვს დახმარებას, ვინაიდან ის უკვე „მოიქცა“ და „მშვიდობიანობის მოყვარულია“.*).

ასეთი მათხოვარი არ უნდა იყოს შესაწყნარებელი, მაგრამ ამერიკამ, რომელიც დატვირთულია პურით და ყოველივე საქონელით, ისე რომ „იხრჩობა“ შიგ, იძულებულია გაყიდოს. შეპირებაა 250 მილიონი დოლარის საქონელი.**).

რუსეთის გამო, მის მონობაში არსებული „სატელიტები“-ც კი მათხოვრად ცახდნენ და ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია-პოლონეთი და სხვ. ეველრებიან ამერიკას, კანადას, საფრანგეთს და სხვებს, რომ გადაარჩინონ ისინი სიმშილისაგან.

ბევრი წინააღმდეგია ამერიკაში ასეთი დახმარებისა,

*) რუსეთის არასოდეს მშვიდობიანობის მომხრე არ ყოფილა — თუმცა ხან და ხან: სიტყვით; — ის მუდამ ყოყოჩიბდა, იმუქრებოდა და ომს აწარმოებდა, სადაც წაახელთებდა; მადა დიდი ჰქონდა და აქვს, მაგრამ არც ერთი ომი დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ მას არ მოუგია — იაპონიამ საშინელი დღე დაიყენა! — ის კი არა, გაიხსენეთ, 1942-ში პატარა ფინლანდიამაც კი მიტყება ის!

**) და ამერიკის, კანადის პურის ერთ ნაწილს ხრუშჩევი აპირებს გაიტანოს, რომ ამ გვარად გამოიჩინოს „უხვი გული“ მომავალ მსხვერპლისადმი, დაამშვიდოს იგი და მოიმადლიეროს. ამას ჰქვია: ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო!

მაგრამ ყოველჯურ კაპიტალიზმის — ეს იქნება კერძო ლიბერალური, თუ სახელმწიფო ერიგი, (რომელსაც კომუნისტები „სოციალიზმს“ ეძახიან), გაუმაძლობას საზღვარი არა აქვს. არა თუ დასაცლეთი ომ გვარიად იხსნის რუსის ტოტალიტარიზმს, რომლის ჩეკისტის სახელი ეტეხება, არამედ საქონელს აწყდის ნაკლებ ფასად, ვიდრე მას უჯდება და შეღავათ პირობებში და კიდევ მეტი, კრედიტსაც უხსნის მას. ასეთია ამერიკის უსუსური პოლიტიკა!..

**

ქვიშაზე, სილაზე დაწყებული „სოციალიზმის“ შენება არ მოხერხდა; დაპირებული „კომუნიზმი“ შორს არის და კოჭლობს; აღმართი დიდია. ხრუშჩევი იტანჯება, იღლება, არაქათი ეცლება, შინ*) და გარედ უკმაყოფილებაა.

და აი, გამოიგონა ეს ხელშეკრულება, (რომლის ძალით უნდა შეწყდეს ჰაერში და წყალქვეშ ატომიური ცდების წარმოება; (ნებადართულია კი ის მიწის ქვეშ!) ამით სურს მას ცოტათი მოაღუნოს „ცივი ომი“, ხელი მოითბოს, დააძინოს მტერი, თავისუფალი კაცობრიობა, მოითქვას სული და თუ ვინიცობაა: მოსახერხებელი ან საჭირო შეიქნა, ვინ და რა შეუშლის ხელს, რომ ეს „ქალალდიხელ-

*) ეშინია ყმები არ აუჯანყდენ, თუმცა მათთვის ტყვია არ აკლია, მაგრამ მაინც მდგომარეობა დამაფიქტრებელია. მეორე მხრით, „მონოლიტური კომუნიზმი“ გაიბზარა და გატეხის გზაზეა და მის მიერ შექმნილი მეორე დესპოტიური იმპერია, ჩინეთი, რომლის ჩაყლაპვა თუმცა სურდა, ვერ მოაზერხა, ლუკმა მძიმე გამოდგა — უკვე ეცილება პირველობაში; ისიც მთელი ქვეყნის დაპყრობას ლამობს და შეიძლება კიდეც მოუხდეს მასთან კონფლიქტი. ეს ყველაფერი საფიქროალია, სახიფათოა, თუმცა თუ საღმე თავისუფლების გასაუქმებლად ომზე მივიდა, ერთი მეორეს დაეხმარება და დიქტატურის შენახვაში და ერების გაყვლეფისათვის ერთად იქნებიან: „ძალლი ძალლის ხორცს არა სჭამს“!

შეკრულება“, როგორც ბევრი სხვა წინეთ, უბრალო ჩვა-
რად გამოაცხადოს და დახიოს ჩვეულებისამებრ.

მხოლოდ უბედურობა იმაშია, რომ ბევრს და ეგებ
ზოგ „ტკვიანსაც“ — კიდევ უფრო გულუბრყვილოდ ჰე-
ნია, ასე ამოქმედებს რუსებს და მათ ხრუშჩოვებს „მშე-
ღობიანობის სიყვარული“ და პოლიტიკა. (ამის მტკიცე-
ბაშია ყოველი რუსი, სოციალისტიც კი როგორიცაა ბ.
ელიაშვილი „დემოკრასიი“-ში. იგი ხრუშჩევთან ერთადაა
და მისი ვექილია).

ნეტარ არიან მორშმუნენი! ვიტყოდი, მაგრამ ასეთი
„რწმენა“ ძლიერ საშიშია და კაცობრიობას მოუტანს, რა
თქმა უნდა, ვნებას სარგებლობის მაგიერ. „ისარგებ-
ლებს“ ცოტათი კი დესპოტიური რუსეთი, რომ განთავი-
სუფლების მაგიერ კიდევ უფრო დაუმძიმოს უღელი პა-
ტიმარ ერებს და გარუსების სიმწარე მომავალში კიდევ
უფრო მეტად გამოაცდევინოს მათ!

სხვა მხრივ, რა უნდა გამოვიდეს აქედან? რა შედეგი
შეიძლება მოჰყეს მას? ხელშეკრულება, მისი შინაარსი
თავის თავად არის თვალთმაქცობა, ხალხისა და ერთი მე-
ორის მოსატყუებლად ხელმოწერილი.

რა თქმა უნდა, ცხადია, ის არც განიარებას მოასწა-
ვებს და ვერც ომის შესაძლებლობას მოსპობს, ვინაიდან
ის სტოკებს მთავრობების ხელში ატომიური ყუმბარების
სტოქს, რომელიც უკეე არსებობს საქმაოდ; ავიონები ამი-
სათვის ხელუხლებელი ჩრება და რამ უნდა შეუშალოს
ხელი რომელიმეს, რომ მოიხმაროს ეს მაალა, როცა მას
ეს დასკირდება. მაშ ეს ხალხის თვალის ასახვევი ხელ-
შეკრულება სავსებით უმნიშვნელოა და მავნებელიც, ვი-
ნაიდან რუსებს სურთ ამ გვარად დააძინონ დასავლეთის
სიცხიზლე. მათ ამნაირად — ფაქტობენ ბოლშევიკები —
შეეძლებათ კიდევ დიდ ხანს იჯირითონ ჩვენს საქართვე-
ლოსა და სხვა მრავალ დაბყრობილი ერის ზურგზე, აწამონ
და უვლიფონ ისინი. ამას ხელს უწყობს დასავლეთის გულ-
გრილობა და უმეცრება, მდგომარეობის გაუკებრობა.

ამერიკა, უ.ნ.შ. კი ლაყბობენ მუდამ, რომ უნდა მო-
ისპოს ყოველ გვარი კოლონიალიზმი, მაგრამ პრაქტიკა-

ში ამას მხოლოდ დემოკრატია, დასაცლეთი, ლიბერალური სახელმწიფოები ასრულებენ; რუსები კი კრინტსაც არ სძრავენ ამაზე, ვინაიდან „ცნობილია“ მშვიდობიანობის „მოყვარული“ რუსეთი, როცა ჯარით იკავებს უცხო ერების ტერიტორიას“, ეს ნიშნავს მათ „განთავისუფლებას“! ასეთია ორი ზომა და ორი წონა, რომელიც გამეფებულია იქ!

**

მაშ, მოსკოვის ხელშეკრულებას, რომლითაც ყურები გამოვიკედეს, არავითარი მშვიდობიანობა არ მოჰყება; ის არ ნიშნავს ზავს, მის გამეფებას; და ჩვენთვის, დაპყრობილ ერებისათვის ასეთი ზავი — ვიმეორებ — არის თეალთმაქცობა და დამარცხების „მშვიდობიანობა“. ეს უკანასკნელი გამეფება ნამდვილად მხოლოდ მას შემდეგ, როცა უოფლი ერი, დიდი თუ პატარა, თავისუფალი, დამოუკიდებელი შეიქმნება. მანამდის კი ბრძალა გრძელდება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს აჯანყებულთა და იმპერიალისტთა შეტაკება.

მშვიდობიანობა სრული ოცნება, ილლუზია თავის და სხვების მოტიუებაა. თუ ერთი გრძეც დარჩა მტრის ხელში. ეს უნდა გაიგოს კველამ და ყოველ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა, რომელნიც დღეს საკმარის ძლიერნი არიან დასაცლეთში, და მხარი დაუჭირონ დამონაბეჭულთ და გაყვლეფილთ.

**

მისი გამომწვევი მიზეზი თუ არ გავქრა, ომი არ გავქრება საესებით; ის უნდა მოისპოს ა) იმპერიალიზმის დამხობით, ბ) ეკონომიკური თანასწორობით და წონასწორობით. მიზეზი თუ არ გავქრა, არც განიარაღება მოსპობს მას, ვინაიდან მისი წარმოება შესაძლებელია უბრალო იარაღით, — რას ვამბობ — დანით, ტუკით და მუშტითაც და გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო მრავალრიცხვანი მცხოვრებლების სახელმწიფოა. ერები უნდა განთავისუფლებენ და მოიპოვონ მათ დემოკრატიული გზით საარსებო საშუალებანი, თანასწორად განაწილებული. სხვა „საშუალება“, განსაკუთრებით ისეთი სასაცილო „საშუა-

ლება", რომელსაც ხელი მოაწერა თითქმის ყველა სახელმწიფომ, არის სავსებით გამოუსადეგარი. ვინც მასზე იფაქტებს დაყრდნობას, მას იმედი გაუცრუვდება.

ეს არის საშიშარი კომედია, რომელსაც შეუძლია გადაიქცეს ტრადედიათ მთელი კაცობრიობისათვის.

ამერიკის მმართველებმა უნდა იცოდენ, რომ რუსებისა და მათ მიერ ჩვენ ზურგზე „შეთანხმებით“ მშვიდობიანობას ვერ დაამყარებენ. ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთი არა-ბუნებრივი, უკანონო დაქორწინების შედეგი, ნაყოფი — რა თქმა უნდა — იქნება არა-ნორმალური და უდღეური.

ჩვეთვის ყველაზე უფრო ძვირფასია მშვიდობიანობა, ზავი, მაგრამ ჩვენ არ გვსურს ზავი დამონების, არამედ ზავი თავისუფლების, განთავისუფლების. ამ ხელშეკრულებით მხოლოდ რუსეთს შეუძლია ისარგებლოს. დრო მოიკოს, გამაგრდეს და სხვების თავისუფლება მოსპოს, ხოლო ერებს მონობის ბორკილი კიდევ უფრო მოუჭიროს.

სავალალოა, ამერიკამ უკვე „ჩააბარა“ რამოდენიმე ერი რუსეთის დესპოტიზმს პირველი მსოფლიო ომის დროს (1918წ.). მან ერთხელ კიდევ დაჯარისხინა მისი იმპერია მეორე მსოფლიო ომის დროს (1940 წ.), რომლის გამოწვევაში რუსეთს მიუძღვის დიდი წილი: მან წალსიანა პიტლერი ევროპას და დაეხმარა მას მატერიალურად და ხელი შეუწყო (ამერიკამ) დაეპყრო რამოდენიმე სახელმწიფო. მაშინ კორელაცია კინტომ გააცირა პრეზიდენტი რუზეელტი, დღეს კი ხრუშჩივი ჩადის იმავეს და ატყუებს კენედის და ისიც ეშველება მას. (წერილი დაწერილია, სანამ ეს დიდი ადამიანი დაიღუპებოდა მტრას ხელიდან). ხრუშჩივის მიზანია, რასაკვირველია. სამუდამოდ დაეუფლოს ჩვენსა და სხვა პატარა ერებს. საერთაშორისო კანონსა და მორალს, რომელზედაც სწერდა მარქსი, ადგილი არა აქვს რუსის „მარქსისტებს“ შორის.

პირდაპირ გასაკვირველია ასეთი შეუგნებლობა! ვერ მიხვდნენ, რომ ერთა დამოუკიდებლობის, თავისუფლების. დემოკრატიის მტერნი, ძალმომრეობის მოციქულნი,

რელიგიური რწმენის მდევნელნი, — ბოლშევიზმი და ფაშიზმი — უნდა აღიგვას დედამიწის პირიდან. *)

ვუსურვოთ, ვიმედოვნოთ, რომ თავისუფალი ქვეყნების მეთაურთა რყევას ბოლო მოეღება და ისინი იპოვნიან მართალ გზას და გადაარჩენენ თავიანთ და სხვების თავისუფლებას!

*) როცა ჩვენ და სხვებიც ვებრძვით, რამეს ვაკეთებთ ჩვენი სამშობლოს დასაცავად. მის განთავისუფლებსთვის სასტკა ბარბაროსული მტრისაგან, ჩვენ არა თუ ვასრულებთ ჩვენს წმიდა მოვალეობას, არამედ ვებრძვით საზოგადოდ ყოველგვარ ბოროტებას, ხელს ვუწყობთ ადამიანის მორალურად და მატერიალურად დაცვას. ვიბრძვით სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად; ვიბრძვით უკეთესი კაცობრიობისათვის, მისი მომავალისათვის. ამიტომ ვერ მივხედარვართ, ჩვენ ვერ ვაგვიგია ის გზა, რომელსაც ადგია ხან და ხან თავისუფალი კაცობრიობა, ვერ გაგვივია მისი პოლიტიკა, მისი გულგრილობა, მისი — დავუმატოთ — უგუნურება, გულუბრყვილობა და უსარგებლო ეგოიზმი!

რუსის აგენტობის

უთიშორობა და უსირცხვილობა

„ორგულთა სიტყვას ნუ ისმენ,
გაუფრთხილდი, ნუ სტყუვდები,
გასწყერ, დასჭერ და დახივე,
მტყუანს ტყუილის გუდები“

(გურამიანიძან).

ერთხელ კიდევ „გაგვაპედოიერეს“ და გამოგვიგზავნეს რუსის „გაზეთი“ ქართულ ენაზე, რომლის აღრესია „ვოლოდორსკოგო“ (თბილისი). როგორც ხედავთ, ქუჩებიც „თავისუფალ საქართველოში“ რუსულ სახელს ატარებენ და ისეც რუსულ ენაზე. ვინ არის ეს „ვოლოდორსკოგო“, ან რა უნდა მას ჩვენში, — კაცია არ იცის! ჭორებით სავსე „ვაზეთი“ საჩუქრად უგზავნიან ძალით შეძენილ მკითხველებს.*).

მაშინ ერთხელ კიდევ მოხსნეს ტყუილების გუდა საქართველოს მოლალატებმა. ისტორიის გაყალბების სპეციალისტები არ სცხრებიან. რას სწერენ ისინი? — „ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეწვია კომიტეტში ჩვენი ჩესპუბლიკის სახელოვანი ადამიანები და მიგვეცა გასაცნობად“ (ჩემოდ

*) რად გვიგზავნიან გაზეთს, რისთვის იხარჯებიან ოკუპანტები? მათი მიზანია დაბრუნონ საქართველოში ემიგრანტები, რომ არავის აღარ შეეძლოს თავისუფალ ქვეყნებში დაცვა საქართველოსი და სხვა ერების ინტერესების და რომ მოითხოვოს იმპერიალისტური რუსეთიდან დაუბრუნონ სამშობლოს დაქარგული დამოუკიდებლობა — და ამნაირად, იმედოვნებენ მტრები, დაავიწყდეს მსოფლიოს, რომ საქართველო პატიმარია.

აღნიშნული მიმართვის ასლი*). და ამის გამო კომიტეტს შეუდგენია წერილი, რომელზეც სახელოვანი აღამიანები მართლაც აწერენ ხელს (ნებით თუ უნებლიერ!) ამ მიმართვის გამო ეს ბატონები, ე. ი. კომიტეტის ხალხი ჯავრობს; რომ ემიგრაციაში მყოფ ქართველებს მიუმართავთ დასავლეთის ქვეყნების მთავრობებისადმი, სადაც ისინი აცნობებენ საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპაციაში ტანჯეას და მოითხოვენ, რომ იმპერიალისტურმა რუსეთმა — ისე როგორც ეს ჩაიდინეს ევროპის სახელმწიფოებმა — ბოლო მოულოს საქართველოს კოლონიზაციას და დაუბრუნოს მას მისი დამოუკიდებლობა, რომელიც მთელი მსოფლიოს და მის მიერაც იყო ცნობილი.

ამ რუსის აკერტებს რომ ჰქითხოთ, საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო მას შემდეგ, რაც ის დაიპყრობალით რუსეთმა. ის კი არა, თურმე საქართველო არც არავის არ დაუპყრია. მას ყავდა „დიქტატორული მენშევიკური“ მთავრობა და ხალხმა გარეკა ის. ჩემი შენ გითხარი, გული მოგიყალი! დღეს კი იქ დიქტატურა არ ყოფილა (არც რუსეთის ბატონობა). ჩა თქმა უნდა თქვენ, ბატონებო, ვსურთ ხალხის გაბრიყვება. მაგრამ ჩვენმა ხალხმა კარგათ იცის, რომ საქართველოში სუფევდა დემოკრატიული წესწყობილება, პოლიტიკური თავისუფლება, დამფუძნებელი კრება, რომელმაც აირჩია მთავრობა. მთავრობა ეროვნული და არა „მენშევიკური“.

(ჯერ ერთი, მას შემდეგ, რაც ის ჩამოშორდა რუსეთს, პარტია აღარ იყო „მენშევიკური“ არამედ მას ერქვა და

*) ამ „მიმართვის“ ასლი თურმე გაუკშავნიათ თბილის-ში — თუ აქაც არ უჩუბენ — ვიღაცებს აქედან, ეს იქნება ალბათ მათი ჯაშუში, რომლის ვინაობას ფარავენ. ეტყობა, ეს დიდი „ვაჟეაცია“ და საკითხის „მცოდნე“. რედაქცია მას პატრიოტს ეძახის, ე. ი. ეს ვაჟბატონი არის საქართველოს თავისუფლების წინააღმდეგ, მომხრე რუსეთის ბატონობისა და დაპყრობილ თბილისში მას ეძახიან „პატრიოტს“. ასეთია თვალთმაქცობა!

ჰქვია საქართველოს სოციალდემოკრატიული). მეორე ტაურის შესახებ: საქართველო იყო ცნობილი მსოფლიოს მიერ და ოვით რუსეთის მთავრობის მიერ (არსებობა ხელშეკრულება, რომელსაც იცნობს „ცაი და ქვეყანა“): 7 მაისს 1920 წ.).

მიუხედავად ამისა, რუსეთის დიქტატორული მთავრობის ჯარი ლენინის, მოღალატის ჯულაშვილისა და ტროცკის ხელმძღვანელობით და ბრძანებით შემოესია პატია საქართველოს რეპუბლიკას და ექვსი კიორის საშინელი, მკაფიო ბრძოლის შემდეგ მტერმა დაიპყრო ის და დღესაც იქ ნავარდობს და უკავია მას.

ამას ეძახით თქვენ დღეს „სუვერენულ და თავისუფალ ერს“, არა?! ეს ამბავი როგორ შეიძლება თქვენ „დაუმლაოთ“ ჩეენ ხალხს — ის ბეჭი ხომ არ გვინიათ — რომლის დიდი ნაწილი მონაწილე ან მოწამე იყო მოვლენების; ყოველ ოჯახს ჰყავს მოკლული ომში ან 1924 წლის აჯანყებაში! და თქვენ გსურთ მისი „გადურაქება“, არა?! ჩეენ კარგად ვიცით, რომ იმათაც კი, რომელიც დაიბადნენ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, კარგად ესმით ეს საკითხი და წესწავლილი აქვთ ახლობელი ისტორია და ცხოვრობენ იმ იმედით, რომ ერთ დღეს მათი სამშობლო განთავისუფლდება და მტერი აბარგდება იქიდან.

(თვით რუსებმაც ვერ შესძლეს იმისი დამალვა, რომ ისინი იყვნენ აფესორები, ვინაიდან გამოქვეყნდა მეთერთმეტე არმიის მოხსენება, სადაც აღწერილია, თუ როგორ უნდა ეწარმოებიათ ომი საქართველოს წინააღმდეგ. ამაზე უარს იტყვით?!).

პირდაპირ წარმოუდგენელია — თუმცა რუსეთისათვის და მისი ბოლშევიზმისათვის ეს ნორმალურად უნდა ჩაითვალოს — ასე გაყალბება ისტორიისა! გუშინდელ ამბავს რომ ასე აყალბებენ, ასხვაფერებენ და სტყუიან, რა იქნება იმ მოვლენების აღწერა, რომელთაც ადგილი ჰქონდა დიდი ხნის წარსულში! არასოდეს, როცა ახსენებენ საქართველოს მტრებს წარსულში, რომლის გამო ჩეენი ერთ განიცდიდა უცხო ულელს, არასოდეს რუ-

სეთს არ ახსენებენ, იმ მუდამ იმპერიალისტურ რუსეთს, რომელმაც 1801 წელში გააუქმია მისი დამოუკიდებლობა, შეიძყრო მისი მთავრობა, გადაასახლა მეფის ოჯახი მიაკრა ივი რუსეთს, დაანაშილა და გადააქცია საქართველო გუბერნიებად. რუსეთი მუდამ მტერი იყო წვრილი ერების, ამიტომაც იყო, რომ რამოდენჯერმე აუჯანყდნენ ისინი მტერს; რუსეთმა კარგად იცის, რომ ის იყო აგრძელობი.

მან იცის, ქართველი ერი ნიჭიერია, მოყვარული თავისი სამშობლოსი, მშრომელი; არის პატრიოტი, თავისუფლების მოტრფიალე და ამიტომაც არის, რომ მას არა აქვს მისი იმედი; იცის, რომ ძნელია მისი დამორჩილება. მსოფლიოშიაც ასეთი სახელი აქვს მას. რუსი არ ენდობა ქართველ ბოლშევიკსაც კი.

სხვათა შორის, ამას წინეთ თქვენს მყრალ გაზეთში იყო გამოჭიმული მხარ-მკერდზე რუსის ჯვარ-მენდლებით მოქედილი, რუსეთის დესპოტიური მთავრობის ნამესტნიკი საქართველოში, მისი აღმატებულება პ. მეავანაძევი. დამსახურებული კაცია; მაგრამ თურქე საქართველოს ვითომდა „კომუნისტური“ პარტიის ამ პირველ მდივნისათვის მიუყენებიათ ერთი რუსი, როგორც „თანამემწე“. გამოდის: მტერს არ ჰქონია დიდი იმედი არც მჟავანაძისა! ეგებ მართალიც იყოს: ვინ იცის, ერთ დღეს შეიძლება მასშიაც გაიღვიძოს ქართველმა და რატომ უნდა იყოს სანდო

და რა თქმა უნდა, ამ რუსის გამო „ც.კ.“-ში „მსჯელობა“ წარმოებს რუსულ ენაზე, ბატონის ენაზე. ქართულ ენას არ აქვს ადგილი საქართველოში, ანდა ის არის მეორე-ხარისხოვანი. ამის დამატებიცებული საბუთი ბევრია. მაგ. როგორ გინდათ ქართული გაიგონოთ იქ, სადაც — როგორც რუსთავში, რომელიც გაავსეს რუსებითა და სხვა უცხოელებით (რასაც გვაუწყებს თვით „სამ. ხმა“) — ერთი პროცენტიც არ არის ქართველი? (ამ „ქართულ“ რუსთავში ყოფილა დიდი მოედანი, რომელსაც გვაჩვენებს „სამ. ხმა“ და ატარებს საქართველოს

მტრის, დამპყრობელის რუსის, ლენინის სახელს!!! ლო-
ლიკა დაცულია! ქალაქი რუსეთშია!).

ასი ათასობით ჩამოსახლებული რუსები ჯირითობენ
ჩვენს სამშობლოში. და აი... ამას ეძახიან სამშობლოს გა-
მყიდველნი, ადამიანის თავისუფლების მტერნი „საქარ-
თველოს სუვერენულ რესპუბლიკას“!

შუბლის ძალვი აქვთ გაწყვეტილი ამ ვაუბატონებთ.
რა უნდა ქნა?

თქვენ გსურთ რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელ-
ში მონათლოთ „სამოქალაქო ომად“, მოაჩვენოთ ხალხს
„მენშევიურ-ბოლშევიკურ“ ბრძოლად. ტყუილა-უბრა-
ლოდ ირჯებით. დღეს ყველასათვის აშკარაა: ამაზე
სწერდნენ, ლაპარაკობდნენ, ბჭობდნენ პარლამენტებში,
სხვა და სხვა კონკრეტული, სადაც სოციალისტები და დე-
მოკრატები მოითხოვდნენ რუსეთისგან ჯარის გაყვანას
საქართველოდან და მისთვის დამოუკიდებლობის დაბ-
რუნებას.

საუცხედუროდ, მყენედავად ამისა, ჩვენი ერთ კიდევ
საპყრობილებია, მაშინ როდესაც დასავლეთმა თითქმის
ყველა კოლონია გაანთავისუფლა! მხოლოდ ერთად ერ-
თი (ჩინეთის შემდეგ) სახელმწიფოა დღეს კოლონიალუ-
რი და იმპერიალისტური: ეს არის რუსეთი, ბოლშევი-
კურ-ფაშისტური და უკალტურო სახელმწიფო.*).

„შეგირცხვათ ნამუსი!“, ვიტყოდი, მაგრამ ის თქვენ
რომ არ გაძალიაო?!

თქვენ არ გესმით, ან არ გსურთ გაიგოთ, და მით უფ-
რო სხვებს გააგებინოთ, რომ რუსეთი მუდამ აგრესორი

*) თუ ის პირები, როგორც თქვენ ამბობთ, „არა მკითხე
მოამბენი“ არიან, თქვენ ვის, ან რას წარმოადგენთ? რა
უფლებით შეგიძლიათ მისი სახელით, რომელსაც თქვენ
ჩალას აჩრით პირში, რომ გსურთ ილაპარაკოთ? ქართ-
ველ ერს არ სჭირდება მოსაშვალე, ის წლოეანია და
სთქვას მან: თუ რა არის მისი მისწრაფება, რა სურს მას.
მაგრამ თქვენ რუსის ხიშტებს ეყრდნობით, რომ მან ხმა
ვერ ამოიღოს!

იყო. წინეთ ის ისხამდა — როგორც უკვე გვითქვამს
— ანაფორას და ვითომ „ქრისტიანობას“ ავტოლებდა,
(ეს ხალხის მკვლელი!) ძალით, ხიშტით, ძალმომრეობით;
სინამდვილეში კი მუდამ იყო კოლონიალური. დღევან-
დელი რუსეთი კი ეხვევა ყალბ „მარქსიზმს“ და „კო-
მუნიზმის“ ქურქში და ძალითვე „აბედნიერებს“ საქარ-
თველოსა და სხვა წვრილ ერებს. (უკანასკნელად პიტ-
ლერთან დამეგობრებულმა, თავს დაეცა პოლონეთს, გა-
დაყლაპა ესტონია, ლიტვანია, ლეტონია) და ასე მას
სურს „დამალოს“ სულთა - მხუთავმა მისი იმპერიალი-
ზმი.

თქვენ არ იცით, ან და უმაღლავთ საზოგადოებას. რომ
მარქსი, რომელზედაც თქვენ ლოცულობთ ფარისევლუ-
რად (რადგან ლენინიზმს არა აქვს რა საერთო მარქსიზმ-
თან) და რომელიც ალბათ ბრუნავს და ბრუნავს მის სა-
ფლავში, როცა მისი სახელით მოქმედებენ ყაჩალები, მუ-
დამ ებრძოდა რუსეთის აგრესიას. მან გაილაშერა
„რუსეთის საერთაშორისო ყაჩალობის“ წინააღმდეგ,
რომელიც წვრილ ერების „პოლოტექტორის“ როლში გა-
ხვეულს უფრო ადვილად შესძლებოდა გადაეყლაპა
ისინი.

მარქსი სწერდა თავის დროზე: „კაცობრიობამ არ უნ-
და დაივიწყოს, რომ რუსეთი იყო ვითომდა პიოტექტო-
რი პოლონეთის, ყირიმის, კურლანდიის, საქართველოს,
სამეგრელოსი და კავკასიის პატარა ხელხების“. (იხ. კ.
მარქს ფრანგულად. ტომი მესამე, გვერდი 56. გამოცემა
კოსტ-ისა, პარიზი).

თავის „აღრესში“ პირველი ისტერნაციონალის ვახს-
ნის გამო“ ის ჯავრობდა, „რომ უმაღლესი კლასები ევ-
როპისა, ისე უსირცხვილოდ ღებულობდა, უცხადებდა
სიმპატიას და იჩენდა იდიოტურ გულცივობას კავკასიისა
და პოლონეთის მქვლელობას რუსეთის მიერ“.

დღეს რომ მარქსი ცოცხალი იყოს, იმასვე გაიმეორებ-
და დღევანდელი დესპოტიური რუსეთის კოლონიალიზ-
მის გამო.

და აი, ასეთ უსირცხვილო ტყუილებზე თქვენ ხელს

აწერიებთ ჩვენს სწავლულებს, მეცნიერებს, არტისტებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეთ.

სამში ერთი:

- 1) ან მათგის არც უკითხავთ და მათ მაგიერ აწერენ ხელს ასეთ ბინძურ ქალალდზე,
- 2) ან მოწერილია ზოგიერთის მიერ მაინც და ძალდა-ტონებით, ტერორის საშუალებით,
- 3) ან-და მცირე ნაწილი — ერთი-ორი — თანხმობას აცხადებს და ხელს აწერს.

მესმის მათი მდგომარეობა: ტოტალიტარულ - დესპოტიურ ოკუპანტების მთავრობას აშკარად რომ შეებრძოლონ. ისინი მივლენ ციხის კარამდი და ციმბირისაკენაც უკრავენ თავს. ამიტომ ვერ გაბედეს უარი. მაგრამ ცოტა ყოყმანობა მაინც კი იყო საჭირო; მათ კარგად იციან, რომ მტრები სტუიან; თვითონ ისინი — ზოგი მათგანი მაინც — მონაწილე, ან მოწმე იყვნენ რუსეთ - საქართველოს ომისა 1921 წელში. იციან აგრეთვე, რომ დღესაც, სანამ რუსეთი არ გაიყვანს მის ჯარს საქართველოდან, რუსეთ - საქართველოს ომი გრძელდება.

„შიში შეიქმს სიყვარულსა“? მართალია, მაგრამ პოეტმა ისიც სოქვა: „მტერს ხელი რათ გიკიდია, მოყვარეს მოეკიდე“-ო.

მაშ არსებობს ერთი ნაწილი ამ პრივილიგეური კლასისა, რომელსაც სურს წეირინოს პრივილევია, არ დაჰყარგოს თავისი მდგომარეობა. ამ პირთათვის, რა თქმა უნდა ზედმეტია პოეტის სიტყვები: — სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, მაგრამ სხვებმა უნდა გამოსთქვან მათი სიყვარული ეროვნული თავისუფლებისადმი სიმბოლიურად, ქარაგმებით, რომ ამგვარად, ერთ წამსაც ეჭვი არ შეეპაროს მტერს, რომ მისი მსხვერპლი შეურიგდა ტყვეობას!

როგორც იტყვიან ჩვენში: „დათვი რომ მოგერევა, „ბაბაი“ დაუძახეო“!, მაგრამ მაინც იყო საჭირო წინააღმდეგობის გაწევა, თუნდაც ამას მოჰყოლოდა „უსიამოვნობა“, მათი დასჯაც, ვინაიდან: თუ მუდამ „წაუწექი“ მტერს და „ბაბაი“ უძახე, ერთ დღეს მართლაც შენი

მაშა გეგონება. არ უნდა დაემსგავსო იმ გადაგვარებულთ, რომელთაც დედა რომ დაავიწყდათ და დედინაცვალს (და მერმე რა საშინელ დედინაცვალს) ფიცულობდნენ.

კი იყო მაშ საჭირო, რომ ზოგს უარი ეთქვა და არ მოეწერა ხელი ასეთ ჩვარჩე! ხომ ხედავთ, წარმოიღინეთ, რუსეთშიაც კი ცოტათი „ბედავენ“ ზოგი ინტელიგენტები - მწერლები სიმართლე სთქვან (თუმცა ისიც მართალია, რომ ისინი რუსის იმპერიალიზმს არ ებრძვიან; მხოლოდ შინაურ შედაცათს „მოითხოვენ“).

და რაღა ქართველმა ვერ უნდა გაბედოს ხან და ხან და ტყუილები არ გაიმტოროს!

რიგიანობა მოითხოვს, არ დაივიწყონ, რომ „კაცურსა კაცსა ტყუილი არ შევენის არად არაო“!

როგორ შეიძლება — ვიმეორებ — იმის დამალვა, რომ რუსეთის ჯარი მხეცურად შემოესია საქართველოს (დაიხმარია რა ატატურკის ოსმალეთიც), დამოუკიდებელ საქართველოს და 1921 წლიდან მასზე ჯირითობს, ოკუპანტი არბეეს მოსახლეობას, ყვლეფაეს მშრომელთ, გააქვს სიმდიდრე, ამშევენ (რუსი ველარ მალავს ამ გარემოებას) ხალხს, ავსებენ თავისიანებით ჩერენს ქალაქებს, სანატორიუმებს, იგარაკებს; გვართმევენ ენას (ცვარუსებენ). თვით მტრი არ ფარავს, რომ მეფის დროსაც ხალხთა დაპყრობა „პროგრესიულ მოვლენად“ მიაჩნიათ ბოლშევიკებსაც). და ეს გაქმაყოფილებს თქვენ! ქართველი ხალხი ბეკი არ არის, რომ მოსტყუდეს. ის თვითონ ხედავს, რაც ხდებოდა წინეთ და რაც ხდება დღეს. მტრის ხელში რომ არ იყოს, განა საქართველოში არ იქნებოდა გამფებული (როგორც მის დაპყრობამდის) თავისუფლება, დემოკრატია? მაგრამ იქ, სადაც ბრძანებლობს რუსის ოკუპანტი, ჯარისა და ჩამოსახლებულ უამრავ რუსებისა, მისი ბოლშევიკურ-ფაშისტური რეჟიმით — ხალხი დაბორკილია, საპყრობილებია დამუნჯებული, დამონებული.

აბა, რა თქვენი ქართველი ხალხის არ გეშინიათ, წაკითხეთ მას კუნძული, მიეცით მას ნება თავისუფლად სწეროს, იღავით მას, შეიკრიბოს, ჰქონდეს უფლება

ასოციაციის, ერთი სიტყვით, პქონდეს მას დემოკრატიული, ადამიანური უფლებები? ეს რომ მოხდეს, თქვენი სახსენებელიც არ იქნება ჩვენს სამშობლოში და ამიტომაც აზიხართ მას ზურგზე და ამუნჯებთ მას!

**

დავასკვნათ: მაშ, ასეთ საშინელ პირობებში, ოკუპაციის ხანაში, თუ პირდაპირ ვერა, ქარაგმებით უნდა გამოითქვას პატრიოტული აზრები, მიღრეკილებანი.

ყოველი მწერალი — ვისაც კალამი უჭირავს ხელში — დღეს, წმინდა კულტურულ მიზნის გარდა, არსებითად პოლიტიკური, ეროვნული მოღვაწე უნდა იყოს, ან შეიქნას, მხოლოდ საქართველოს განთავისუფლებაზე უნდა ოცნებობდეს. ამას აქვს ფსიქოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობაც წვრილი ერისათვის.

ასე რომ ყოველი ხელოვნება ერთი წამითაც — როგორც ეს იყო წარსულში — არ უნდა ივიწყებდეს ქართველ ერს და ოცნებობდეს იმ მომენტზე, როცა ის უნდა გაუსხლდეს მტრის კლანჭებს. ეს აუცილებელია არა მარტო ხალხისათვის, არამედ მტრისათვისაც, რომელიც არ უნდა ფიქრობდეს, რომ საქართველო შეურიგდა ტყვეობას და უცხო ბატონობას!

**

გასაგებია, როცა აკადემიკოსებს აძალებენ ხელი მთაწერონ ბინძურ „დოკუმენტს“, ვინაიდან ისინი ასე თუ ისე გავლენიან პიროვნებათ ეკუთვნიან, მაგრამ როცა ამის შემდევ რუსის პროპაგანდისტებს სურთ განიიყენონ ისეთი საწყალი ადამიანი, როგორიც არის პორტილე მეხუზლა, ეს იმას ნიშნავს, რომ მათთვის ხალხი გამოლეულია; ეს ნიშნავს, რომ მათი საქმე არ ყოფილია ჩინებულად.

გამოვეცალათ, ბატონებო, ალბათ ზალში, რომელსაც თქვენ „ალაპარაკებთ“, როგორც ეს თქვენ მოკიხდებათ, არა? მართლაც, საპრალო პორტილები ჩერჩეტი იყო, ავადმყოფიც (იგივე დარწევა არ იყო) წასვლა დააპირა ერთმა გურულმა უთხაოსა და წმინდა პორტილე, შენი ადგილი იქინება; არაუკანა არ იყო, აეათ



ხარ და იქინები რუსების აგენტები მოგარჩენენო". ოზურ-გეთის ქუჩის სახლებს გვაჩვენებს და ამით „ამტკიცებს“ რომ საქართველო არ უნდა იყოს თავისუფალი. ას სჭირია ეს თავისუფლება. ოზურგეთი!. ჩვენი პატია კეპლუცი ქალაქისთვის დაურქმევიათ ქართველი ერის მოღალატის ფ. მახარაძის სახელი. (ი. ჭავჭავაძის მკვლელის, ილიას რომელიც დღეს „ქართველ“ მწერლებს გამოყავთ როგორც მომხრე რუსეთის ბატონობისა საქართველოში. ამაზე შორს ჯერ ცინიზმი არ წასულა! მაგრამ მტრის-გან ყოველივეს უნდა მოელოდე).

იგივე უნდა ითქვას ვილაც ციციშვილზე, რომელიც თავს ესმის ქართველ პატრიოტებს ემიგრაციაში, — ეს ცაებატონი აქ ყოფილა და წასულა, თუმცა არც მისი აქ ყოფნა და არც წასულა არავის არ შეუმჩნევია რუსებისკენ გადასულა. „ფაშისტი ვიყავიო“ აღიარებს, მაგრამ სჩანს არ გამოცულილა, ვინაიდან ბოლშევიზმი მიულია, რაც იგივე ფაშიზმია, მაგრამ სხვა სახით. *)

*) მაგრამ ჩვენ ამას გარდა და განსაკუთრებით გვაინტერესებს არა რუსების სოციალური მიღრეკილება, არა მედის, რომ ჩვენ დაგვანებოს თავი, ნუ ერევიან ჩვენს საქმეები, ბოლო მოუღონ (როგორც ეს მოხდა დასავლეთში) თავიანთ იმპერიალიზმს და პქონდეს მას მისი „იდეოლოგია“ თუ „ზოოლოგია“ პოლიტიკური ეს მათი საქმეა — ვიმეორებ — დაგვანებონ თავი და გავიდენ საქართველოდან. ჩვენ გვსურს თავისუფალი არსებობა არ გვქირდება აპეკუნი და განსაკუთრებით ასეთი „კულტურული“ აპეკუნი. ქართველი ერი წლოვანი იყო, როდესაც კიდევ რუსების წინაპრები ტყეში „დასეირ ნობლენ“. გავიხსენოთ ერთი შემთხვევა: რუსის დეპუტატმა პურიშვილიმა „რეპლიკით“ შესძახა კარლო ჩხეიძეს (ჩვენს დაუვიწყარ, დიდ, ცნობილ სოციალისტს და საზოგადო მოღვაწეს, დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს, საქართველოს დელეგაციის პარიზის საზაო კონფერენციაზე თავმჯდომარეს 1920 წელში), რომელიც ტრიბუნაზე იყო:

ბაზაშიძე, რადიანი და ბ. ქლენტი (ჩვენი დროის „მოლვაშენი“ არიან ალბათ) სწერენ „ისტორიას ქართული ლიტერატურისას“ ისე, როგორც ეს მათ მოეპრიანებათ და ოკუპანტებს ესიამოვნებათ და ატყუებენ მკითხველთ, თათქოს ჩვენი მწერლები — ასე გამოდის — ყოფილიყვნენ რუსეთის ბატონობის მომხრე და ხან და ხან ბოლშევიკების მოტრფიალეც კი. საქართველოს დამოუკიდებლობის ხანას ეძახიან ეს ფლიდები, ფარისევლები — ისე როგორც ყველა ქართველი ერის მოღალატე — „პერიოდი მენშევიკების დიქტატურისა საქართველოში“ (ხაზი ჩემია). ეს „დიქტატურა“ რუსის დიქტატორის ლაქიების კალამით იქნებოდა სასაკილო, აღმდშოოთებელი, რომ არ იყოს ისტორიის ასე გაყალბება! მაშინ თუ დიქტატურა იყო, დღეს მაშ რაღა არის საქართველოში. როცა ქართველს იქ მაღე — ასე თუ გაგრძელდა — ადგილიც აღარ ექნება მის სამშობლოში.

საქართველო თურმე არც კი არსებულა და ყველა მწერალი — მათ რომ პკითხოთ — 1918-დის უმღეროდნენ რუსეთის მიერ საქართველოს „გაბეჭნიერებას“, მის „გასაბჭოებას“ მცრის, რუსეთის მიერ. ისინიც იმეორებენ, თითქოს ეს იყო სამოქალაქო ომი და არა რუსეთ — საქართველოს ომი! მაგრამ ეს ვაკბატონები — როგორც ვთქვით — ვერც ქართველ ხალხს და ვერც სხვებს მოატყუებენ.

ა. გ. გ.

რუსის აგენტები, ბოლშევიკები ჩვენ ხალხს ატყუებენ, თითქოს ქართველმა მოიხვეჭა სახელი საზღვარ გარეთ, როგორც მეცნიერებმა, ისე სპორტსმენებმა. რა თქმა უნ-

„კავკასიკი ეშაკო“-ო, ე. ი. „კავკასიელო ვიროო“. კარლოს პასუხი იყო: „მეტს არ უნდა მოელოდეს ადამიანი მაგათგან. მაგრამ იცოდეს ბატონმა „„ზრდილობიანმა“ შოვინისტმა და სხვებმაც. რომ, როცა საქართველო უკვე კულტურული და ქრისტიანული ქვეყანა იყო, იმ დროს თქვენი წინაპრები ტყეში დაბოდიალობდნენ“-ო. („ვლესუ ბროლილი“).

და, ეს შესაძლებელი იყო და ქართველი ხალხი ნიჭით და შრომით სხვებს არ ჩამოუვარდებოდა, რომ მსოფლიოში ცნობილი ყოფილიყვნენ ჩვენი მეცნიერნი, ჩვენი არტისტები, მწერლები, სპორტსმენები. ჩვენ ეს ზედმიწევნით სიხარულს მოგვევრიდა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ასე არ არის; ყოველგან რუსები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ არა რუსის ერების და განსაკუთრებით ქართველი ერის ხსენებაც არ იყოს ჟადმე. და როცა ქართველი სადმე გამოჩნდება და სახელს მოიხვეჭს და გაიმარჯვებს, მას ნათლავენ „სოვიეტელებად“ და ეს უკანასკელი დასავლეთში ნიშნავს რუსს. თვით რუსებს კი ეს მოსწონს და ყველა ეროვნებათა წარმომადგენელნი, რომელთაც ისინი ჩაგრავენ და რუსებად გამოჰყავთ და მათ გამარჯვებას და თვისებებს ისინი ითვისებენ.*).

ასეთია სიმართლე. თქვენ კი ზღაპრებს ჰყებით და სწერთ. მდგომარეობისა და ისტორიის გაყალბებაში რუსებსა და მათ ბოლშევიზმს პირველი აღგილი უჭირავს. ამისი სპეციალისტები არიან და მათი აკენტები ჩევნში, ან სხვაგან იმასვე იმეორებენ. (რუსს სურს, რომ მეცნიერი, ან სხვა სახელოვანი ადამიანი მხოლოდ რუსის სახელს ატარებდეს. ამას ჰქვია იმპერიალისტისა და შოვინისტის ქურდობა).

და ბოლოს კიდევ ერთი შენაზვნა და ორი სიტყვა პოეტ აბაშიძეზე. „სამშ. ხმის“ დეკ. ნომერში საინტერესოა ერთი ლექსი, რომელიც ეკუთვნის იზაკლი აბაშიძეს. პოეტი უმღერის დედა ენას; ენაა მისი საყვარელი. ნიკორ ავტორის ლექსი უგალობს ქართულს, მის მშობლიურ ენას. რა თქმა უნდა, ეს საუცხოვოა. მაგრამ „იბერისა და თამარის ენას“ რომ საშიშროება მოელის? ეგებ სწორეთ ამისათვის უღერს პოეტის ჩანგი და ეს არის საპროტესტო ნიშანი იმის წინააღმდეგ, რომ მას ერჩის მომხვ-

*). მაგ. ერთ დიდ ცნობილ პარიზულ გაზეთში ასე აცხადებენ: „რუსის გამარჯვება“-ი და ტექსტში ავტორი ამბობს, რომ „სოვიეტელმა ჩეტრეველმა (სპორტში) გაიმარჯვაო... ასეა სხვა დარგის შესახებაც.“

დური მტერი, საქართველოს დამპყრობელი, რომლის მიზანია საქართველოს გარსება, გადაგვარება. მტერმა კარგად იცის, რომ ენა ოჯ დაეკარგა ერს, მისი საქშე წასულია, დალუპულია და ამიტომაც ილტვის ის, რომ ის მას ამოგლიჯოს. ამისათვისაა ასი ათასობით რუსები რომ იჭერენ ჩვენს ტერიტორიას, რომ „შეესივნენ ჩვენს ქალაქებს ... და ენას როგორ შეკვარჩენენ? მაგრამ ასეთი პლატონიური, რპილი პროტესტი არ კმარა. ჩვენი ენა რომ არ გამჭრეს, საჭიროა აქტი... უნდა დავიცვათ ჩვენი ენა! უნდა გადარჩეს ჩვენი საყვარელი და... ეგება შემდეგში... საწყალი ენა!..“

საჭიროა მეტი გამბედაობა. პოეტ აბაშიძეს კარგად ახსოვს უუდიდესი ქართველი პოეტის (რომლის საფლავს ის ეძებს პალესტინაში) სიტყვები, რომ „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“... და იმედია გაბედულად ივლის ის „რუსთაველის ნაკვალევზე“...

* * *

თევ და სამრთაშორისო სოციალიზაცია

(მისი გარდაცვასლების ათი წლის თავზე)

„მოკვდა და თვისი ანდერძით
აწ ისევ საქმობს მკვდარიო“.

(გურამიანიძან)

ნოე უორდანია, დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი, ქართველი ერის მზრეველი-პელადი, შეუდრეველი ლოლიკის პატრონი, გულწრფელი საზოგადო მოღვაწე — იყო სოციალიზმის, ქართული სოციალიზმის მამათ მთავარი. ეს სოციალიზმი მაშინაც კი, როცა ის ნაწილი იყო რუსეთის ს.დ. პარტიისა, მაშინაც კი — ვამბობ — იყო თავისებური, განირჩეოდა რუსის პარტიისაგან, როგორც ტაქტიკით, ისე პრაქტიკით და იდეურადაც. ეს გამოაშეარავდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინეთაც და განსაკუთრებით საქართველოს დამუოკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

ნოე იყო კარგად გაგებული, დასაბუთებული მარქ-
სისტი პლეხანოვისა და კაუცისთან ერთად და ამ უკა-
ნასკნელთა გაქრობის შემდეგ კი, ჩემის აზრით, ნოე იყო
თითქმის ერთად ერთი შეგნებული მარქსისტი, საუკი-
თესო მცოდნე სოციალიზმისა და თავისი კრიტიკით ბოლ-
შევიკურ-ფაშისტური, კარიკატურული, ყალბი სოციალი-
მისა და მარქსიზმისა; მან გამოაშეარაცა დავასლეთის წი-
ნაშე*) ნამდვილი სახე სოციალიზმისა და გვაჩვენა,
რომ ლენინიზმის მიერ შექმნილი საზოგადოება არ
იყო დემოკრატიული და სოციალისტური, არამედ ის
იყო სახელმწიფო ეპიდროსი კაპიტალიზმი და ისიც
ზედმიწევნით ჩამორჩენილი, რაც დღეს ყველასათვის
— ბრძების გარდა — თვალსაჩინო და უდავო უნდა
იყოს, ვინაიდან მათი „სოციალიზმი“ ადამიანის უფლე-
ბის, მისი თავისუფლების შემბორკველი, 44 წლის გან-
მავლობაში მილიონობით ხალხის მსხვერპლად მიტანი-
ლი, ოციოდე ეროვნებათა დამონებით, უფრო ემსგავსება
საშუალო საუკუნის დესპოტიზმს და რომელიც ვერ
ახერხებს მათი ვითომდა სოციალიზმით მშრომელმა სიმ-
შილი მთიკლას და ადამიანური ცხოვრება ატაროს....

*) სადაც უგუნურთ — ზოდ სოციალისტებსაც —
ეგონათ და ეხლაც, საუბედუროდ კიდევ ბევრს სჯერა,
რომ რუსეთში იყო და არის „თავისებური“ სოციალიზმი.
როცა ბურჟუაზიული პრესსა მათ ნამდვილ მარქსისტებად
და სოციალისტებად აცხადებს, ეს გასაგებია: ამ გვარად
ბურჟუაზიას — ყალბ სოციალიზმის ნამდვილი სოცია-
ლიზმად აღიარებით — სურს შეაძლოს დაბავლეთის მუ-
შათა კლასს ჭრიმარიტი სოციალიზმი... ეს არის. მაშ.
მისთვის ბრძოლის საშუალება პროლეტარიატის წინაა-
ლდება. მაგრამ როცა დემოკრატიულ, ან სოციალდემო-
კრატიული პრესსაც კი ხშირად, საუბედუროდ, იმასვე
იმეორებს, რასაც კაპიტალისტები: რომ ბოლშევიზმი
არის სოციალიზმის ერთი სახეო, ეს კი უნდა მიეწე-
როს უგუნურებას, უცოდინარობას, ან რუსეთისადმი ლა-
ქიური პოზიციის დაჭრას.

უცელა ამას ადვილად გაიგებს დასავლეთის ინტელიგენტი, და მუშათა კლასი, თუ ისინი გაეცნობიან ნოეს შრომებს და განსაკუთრებით მის შესანიშნავ წიგნს ფრანგულ ენაზე: „დიფიკულტე სოსიალისტ“, გამოქვეყნებულს 1933 წელს პარიზში.

დასავლეთის პარტიებს რომ შეესწავლათ ქართული სოციალიზმი, მარქსიზმიც კი, უთუოდ აიცილებდნენ მრუდე ტაქტიკას, ნათლად წარმოიდგენდნენ რუსეთის დიქტატურა-დესპოტიზმს იმპერიალიზმს და გზას გაიკვლევდნენ და არ დაიწყებდნენ იქით-აქეთ ხეტიალს დოქტრინის ძებნაში და მის შესაძნალებელ ნოეში იხილავდნენ ისინი თავიანთ წინამძღოლს.

უცხოელი სოციალისტი დარწმუნდება, რომ ნოე საუკეთესო საბუთების საშუალებით ახდენდა რეაბილიტაციას მარქსიზმისა და სოციალიზმისა, რომელნიც ბოლშევიზმა გარყვნა და ცილი სწამა მას, როცა მის კონტრრევოლუციის შემდეგ სოციალიზმად მუნათლა კიდევ სანახევროდ ფეოდალიზმში მყოფი რუსეთის წესწყობილება, სახელმწიფო კაპიტალიზმად გადაქცეული (კერძო კაპიტალის მაგიერ). ეს ეტატიზმი ბოლშევიკებს სურთ მოაჩენონ ხალხს სოციალიზმად და ფიციულობენ: მათი იდეოლოგია თითქოს იყოს მარქსიზმი, მაგრამ სინამდვილეში ის კი არის უეპველად ლენინიზმი, რომელსაც მეცნიერულ სოციალიზმთან არა აქვს რა საერთო. *).

**

ჩემი რწენაა: ნოე რომ ღრმა მუხუცი არ ყოფილიყო უკვე და კიდევ ეცხოვრა 10-15 წელი, ერთი სიტყვით, მას რომ დასცულოდა — როგორც იტყვიან — ის შეიჭრაბოდა საერთაშორისო სოციალიზმის ერთ ლიდერთაგანი და საქართველოს ერის საუკეთესო წარმომადგენელი

*) ბოლშევიზმს რომ მარქსიზმი უწოდო, ეს იქნებოდა მარქსიზმის შეურაცხყოფა და ალპათ საწყალი მისი აჩრდილი დიდად სწუხს, როცა ბოლშევიზმის დიქტატურა მასზე იფიცავს და მისი სახელით იმპერიალისტურ რამდენი ავაზაკობის ჩამდენი არის.

მსოფლიოში. ნოე დაეხმარებოდა დღევანდელ ინტერნაციონალს, რომელიც კრიზისს განიცდის და „ახალ“ გზას ეძებს და ხშირად იმპერატორი აზრები არ აღდგენილიყოს მასში, და რაც ბევრ საკითხში ეწინააღმდეგება მეორე ინტერნაციონალს.

(დეკემბერი, 1961.)

NK 21

021/236

†

კიტა ჩხვნევლი

23 ოქტომბერს გარდაიცვალა შვეიცარიაში (ციურიხში) ცნობილი მეცნიერი, დოკტორი კიტა ჩხენკელი, ძმა აკაკისა, რომელიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი პარიზში. უმაღლესი განათლების მისაღებად კიტა გაგზავნილი იყო თავისუფალი საქართველოს მთავრობის მიერ გერმანიაში, სადაც მას მიანიჭეს ჰამბურგის უნივერსიტეტში დოკტორის ხარისხი. იმავე უნივერსიტეტში ის იყო ქართული ენის პროფესორად.

მეორე ომის შემდეგ ის გადადის შვეიცარიაში და იქ აარსებს გამომცემლობას „ამირანი“, ეწევა სამეცნიერო მუშაობას და ხდება ქართული ენის მასწავლებლად უნივერსიტეტში.

მას ეკუთვნის 1958 წელში გამოცემული შრომა „შესავალი ქართული ენისათვის“, გერმანულ ენაზე, რომელიც ღრმად შეფასებულია დასავლეთის მეცნიერების მეცნიერების და რომლისათვისაც მას მიენიჭა საპატიო დოკტორის წოდება.

კიტა ჩხენკელის დაკარგვა, რამაც დაამშუბრა მთელი ქართველობა, დიდი დანაკლისია ჩვენი მეცნიერებისათვის.